

# კრედიტინფო საქართველო – მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების ხელშეწყობა

ნატალია სოლდატუკ და ელენე ზონინაშვილი


ქვეყნის ეკონომიკა არ არის დაფუძნებული მსხვილ საერთაშორისო კორპორაციებზე. მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი მეტწილად განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას, რის გამოც იმსახურებს მნიშვნელოვან ყურადღებასა და ფოკუსირებას. „კრედიტინფო საქართველომ“ მოახდინა მნიშვნელოვანი ინვესტირება სპეციფიკური ინსტრუმენტის შექმნაში, რომელიც ეხმარება კომპანიებს მიიღონ ეფექტური გადაწყვეტილებები მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების თვალსაზრისით და ხელი შეუწყონ ამ სექტორისთვის დაფინანსების ხელმისაწვდომობას.

მაგალითისთვის, ევროპის ქვეყნებში კომპანიების 99% წარმოადგენს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, რომელთაც სტატისტიკურად შეაქვთ 58 ცენტი თითოეული ევროს გამომუშავებაში.

ეს საკითხი დიდი ხნის განმავლობაში იქცევს ყურადღებას მსოფლიო მასშტაბით. საინვესტიციო კომპანიები ახორციელებენ მნიშვნელოვან დაბანდებებს მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის განვითარებაში. ილუსტრაციისთვის, 2014 წელს მხოლოდ ინტერამერიკულმა საინვესტიციო კომპანიამ განახორციელა 426,3 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების 64 ოპერაცია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა მისთვის დაფინანსების ხელმისაწვდომობა საგრძნობლად შეზღუდულია. „2010 წელს გადასახადების გადამხდელთა რაოდენობები შემდეგნაირად იყო განაწილებული: 1% მსხვილი კომპანიები, 5-25% საშუალო ზომის კომპანიები და 70-95 % მცირე ბიზნესი“ (საგადასახადო რეფორმები, 2011). საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, მცირე და საშუალო კომპანიებზე 2014 წელს დასაქმებულთა 44%, ხოლო საწარმოთა საერთო ბრუნვის 18% მოდიოდა.

სურათი 1 ასახავს მცირე და საშუალო ბიზნესის 2011 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს. გამოკითხვის ერთ-ერთი ცენტრალური შეკითხვა იყო, თუ რა ბარიერები არსებობს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის. თვალსაჩინოა, რომ კრედიტების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს მთავარ ფაქტორს, რომელიც დასახელდა გამოკითხულთა 72,3%-ის მიერ.



**სურათი 1: მაკრო ფაქტორები: სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად (პროცენტებში)**

წყარო: მცირე და საშუალო სექტორის როლი საქართველოს ეკონომიკაში (ტატიანა პაპიაშვილი, ილიას ცილოგლუ)

მსოფლიო ბანკის მიერ 2013 წელს წარმოებული კვლევის თანახმად, მცირე და საშუალო ბიზნესის მხოლოდ 14% იყენებს ბანკის დაკრედიტებას ინვესტიციების დასაფინანსებლად. თუმცა მათთვისაც კი, ვისთვისაც დაკრედიტება ხელმისაწვდომია, სესხები საკმაოდ არახელსაყრელი პირობებით გაიცემა: სესხების 96% საჭიროებს უზრუნველყოფას, რომელიც სესხის მოცულობის საშუალოდ 220%-ს შეადგენს.

„კრედიტინფო საქართველო“ მომხმარებლებს სთავაზობს ეფექტურ ინსტრუმენტებს გადაწყვეტილებების მისაღებად და ასევე წვდომას პოზიტიურ და ნეგატიურ საკრედიტო ინფორმაციაზე. ის 10 წელზე მეტია მოღვაწეობს საქართველოს ბაზარზე და ხელს უწყობს საბანკო და არასაბანკო ფინანსურ სექტორს დაკრედიტების პროცესში. „კრედიტინფო საქართველო“ ასევე ემსახურება არასაფინანსო ბიზნესსაც, როგორცაა ტელესაკომუნიკაციო და სადისტრიბუციო სექტორები, რომლებიც სხვა ფორმით ახორციელებენ კომპანიების დაკრედიტებას. „კრედიტინფო საქართველო“ მონაცემთა ბაზაში თავმოყრილია მონაცემები 2 მილიონზე მეტი ფიზიკური პირის, 56 000-ზე მეტი კომპანიისა და ასევე პირადი ნომრით დარეგისტრირებული დიდი რაოდენობით ინდივიდუალური მეწარმის შესახებ.

კრედიტინფო საქართველო მიიჩნევს, რომ მისი უმთავრესი ამოცანაა ფინანსური სექტორისთვის აწარმოოს ეფექტური პროდუქტები დაკრედიტების გასაუმჯობესებლად, ხოლო შერეული სქორინგის სისტემები წარმოადგენენ მსოფლიოს მრავალ ბაზარზე გამოცდილ წარმატებულ გზას ამ ამოცანის გადასაჭრელად.

**სურათი 1. კომპანიის პროფილი**

კომპანია: **საქრედიტო**  
 შპს ინვესტი  
 საკრედიტო ისტორია: ვადავადილების გარეშე  
 რისკის კატეგორია: B.  
 რისკის დონე: დაბალი  
 APPROVED

შევხედოთ მცირე და საშუალო საწარმოებს კრედიტინფო საქართველოს პერსპექტივიდან. დაახლოებით 55% მათგანს არ გააჩნია საკრედიტო ისტორია და, მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად, 70% მათგანი იყენებს საკუთარ შიდა რესურსებს ინვესტიციების დასაფინანსებლად. მომხმარებლისთვის ხშირ შემთხვევაში პრობლემატურია ბიზნეს სესხის აღება, რის გამოც ის მიმართავს ფიზიკური პირის სესხს ბიზნესისთვის სახსრების მოსაზიდად. აქედან გამომდინარე, ბიზნესისა და მფლობელის ფინანსები უმეტესად ურთიერთდაკავშირებულია და მცირე და საშუალო საწარმოები ხშირად ფინანსურად დამოკიდებულნი არიან მფლობელთა პერსონალურ ქცევაზე.

**სურათი 3. კომპანიის მფლობელის პროფილი**

სახელი: **სახელი**  
 ბერნარდ მულოვი  
 პოზიცია: კომპანიის მფლობელი  
 საკრედიტო ისტორია: \$64.8 მილიარდის თაღლითობა  
 კრიმინალური განაჩენი: 150 წელი თავისუფლების აღკვეთა  
 რისკის კატეგორია: E.  
 რისკის დონე: უკიდურესად მაღალი  
 APPROVED

ლოგიკური გადაწყვეტილება შევაფასოთ ბიზნესის საკრედიტო რისკის დონე მასთან დაკავშირებული ფიზიკური პირების რისკის გათვალისწინებით: მფლობელების, აქციონერებისა თუ მმართველების. ეს პრინციპი ითვალისწინებს კომპანიისა და დაკავშირებული ფიზიკური პირების შესახებ არსებული ყველა ინფორმაციის კომბინირებას.

შერეული სქორინგის მოდელი მარტივია. წარმოვიდგინოთ, რომ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება სურათი 2-ზე ასახული კომპანიის დაკრედიტების შესახებ. ხელმისაწვდომია მხოლოდ მცირე ინფორმაცია: ბიზნესი საკმაოდ ახალგაზრდაა, მხოლოდ 3 წელია მოღვაწეობს ბაზარზე, თუმცა აქვს მაღალი მოგება და სწრაფი ფინანსური ზრდა. ამ მონაცემების მიხედვით კომპანია საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება და ვიღებთ გადაწყვეტილებას სესხის დამტკიცების შესახებ.

**სურათი 4. შერეული საკრედიტო პროფილი**

საქრედიტო: შპს ინვესტი საქრედიტო  
 სახელი: ბერნარდ მულოვი  
 პოზიცია: კომპანიის მფლობელი  
 რისკის კატეგორია: E.  
 რისკის დონე: უკიდურესად მაღალი  
 REJECTED

მეორეს მხრივ, შევხედოთ კომპანიის მფლობელის მონაცემებს, რომლებიც ნაჩვენებია მე-3 სურათზე. როგორც ჩანს, ის წარმოადგენს ცნობილ მსოფლიო თაღლითს, რომელიც პასუხისმგებელია რამდენიმე ფირმის დეფოლტზე და რომელსაც მისჯილი აქვს მრავალწლიანი პატიმრობა. სავარაუდოდ, სესხის დამტკიცების გადაწყვეტილება გადაიხედება.

შერეული სქორინგი კომბინირებულად აფასებს კომპანიისა და მფლობელის მონაცემებს და იძლევა მაღალი რისკის ერთი შეხედვით იდენტიფიცირების საშუალებას.


შერეული სქორინგი შეიქმნა „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციის საფუძველზე. რა თქმა უნდა მოყვანილი მაგალითი საკმაოდ ექსტრემალურია, თუმცა ის კარგად ასახავს საკრედიტო სქორინგის მიერ ურთიერთკავშირების გამოყენებას.

რა ინფორმაციაა ხელმისაწვდომი მცირე და საშუალო ბიზნესის შესახებ? ეს არის პირველ რიგში საკრედიტო ისტორია და ასევე გარკვეული დემოგრაფიული მონაცემები, როგორც კომპანიის წლოვანება, მისამართი და ინდუსტრიის სექტორი.

შემდეგ ემატება კომპანიასთან დაკავშირებულ ფიზიკურ პირებზე „კრედიტინფო საქართველოს“ ბაზაში არსებული ინფორმაცია. ფიზიკური პირებისთვის ხელმისაწვდომია საკრედიტო ისტორია და საკრედიტო რეიტინგი, რომელიც კომბინირებულად გამოიყენება კომპანიის ინფორმაციასთან ერთად. თუ მფლობელი „არაფორმალურია“, მაგრამ კრედიტორისთვის ცნობილია, ეს ინფორმაციაც შესაძლებელია იქნას გათვალისწინებული დათვლებში.

როგორ გამოიყურება საბოლოო სქორინგის შეფასება? სურათი 5 აჩვენებს მისი კომპონენტების გადანაწილებას. ყველაფერი სექტორი ასახავს კომპანიის მონაცემებთან დაკავშირებულ ცვლადებს (დაახლოებით 65%), ხოლო მწვანე სექტორი წარმოადგენს დაკავშირებული პირების მონაცემებზე დამოკიდებულ ცვლადებს (დაახლოებით 35%).

**სურათი 5. შერეული სქორინგის კომპონენტები**



თუ შევხედავთ ეფექტურობის თვალსაზრისით, ეს მოდელი ბევრად უფრო ზუსტია, ვიდრე კლასიკური მოდელი, რომელიც მხოლოდ კომერციულ მონაცემებზეა დაფუძნებული. საუკეთესო შედეგების მისაღწევად, შერეული სქორინგი უნდა იქნას ინტეგრირებული და გამოყენებული იყოს კომბინირებულად შიდა პროცესებსა და პროცედურებთან ერთად. მოდელის დანერგვის შემდეგ გაუმჯობესდება დაკრედიტებაზე თანხმობების რაოდენობა და დაიკლებს ვადაგადაცილებების წილი.

შერეული სქორინგის მოდელი სთავაზობს ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და სადისტრიბუციო კომპანიებს საუკეთესო საშუალებას, შეამცირონ მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებასთან დაკავშირებული ბარიერები და

მეტად ხელმისაწვდომი გახადონ ამ სექტორის დაფინანსება, რაც აუცილებელია ეკონომიკის განვითარებისთვის.

ბრიუს მაუს ცნობილი გამონათქვამის თანახმად, ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია და, ჩვენდა საუკეთესოდ თუ სამწუხაროდ, ყველაფერს აქვს მნიშვნელობა.

**გამოყენებული მასალები:**

- ინტერ-ამერიკული განვითარების ბანკი; <http://www.iadb.org/en/inter-american-development-bank,2837.html>
- საერთაშორისო გამჭვირვალობა; <http://www.transparency.org/>
- სამხრეთ აფრიკის საბანკო ასოციაცია; <http://www.banking.org.za/index.php/our-industry/small-medium-enterprise/>
- ევროპის კომისიის წლიური ანგარიშგება; [http://ec.europa.eu/growth/smes/business-friendly-environment/performance-review/files/annual-report/infographics\\_en.pdf](http://ec.europa.eu/growth/smes/business-friendly-environment/performance-review/files/annual-report/infographics_en.pdf)
- საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი; [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=211&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo)
- მსოფლიო ბანკის ჯგუფის კვლევა, საქართველოს ქვეყნის პროფილი 2013; <http://www.enterprisesurveys.org/~media/GIAWB/EnterpriseSurveys/Documents/Profiles/English/Georgia-2013.pdf>
- მცირე და საშუალო სექტორის როლი საქართველოს ეკონომიკაში (ტატიანა პაპიაშვილი, ილიას ცილოგლუ); <http://www.journal.ibs.u.edu.ge/index.php/jbm/article/viewFile/314/287>